ხელშეკრულება №2023/06/12

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ.თბილისი . 12 ივნისი 2023 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, სსიპ ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი (შემდგომში-შემსყიდველი ორგანიზაცია), წარმოდგენილი მისი სამხატვრო ხელმძღვანელის დავით დოიაშვილს სახით და მეორეს მხრივ, **შპს ამორე** (ს/ნ-**406030334**), (შემდგომში - „მიმწოდებელი"), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ რომ არ ვიმყოფებით ერთმანეთთან ინტერესთა კონფლიქტში და ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და საფუძველი

1.1 ხელშეკრულების საგანია **სპექტაკლებისთვის საჭირო სხვადასხვა სამოსის** შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 **CPV—18300000 (წინდები 18315000)**
1.3 ხელშეკრულების საფუძველია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტი.
2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება და ანგარიშსწორების ფორმა

2.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს **96 (ოთხმოცდათექვსმეტი)** ლარს, რომელიც ითვალისწინებს შესყიდვის ობიექტის მიმწოდებისთვის საჭირო ყველა ხარჯს, ასევე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, დღგ-ს ჩათვლით.

2.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება **ეროვნულ ვალუტაში საკუთარი** სახსრებიდან.

2.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება სასაქონლო ზედნადების ან/და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს **10 სამუშაო დღის ვადაში.**

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები.

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 10 **სამუშაო დღის ვადაში.**

3.2 შესყიდვის განხორციელების პარალელურად მიმწოდებელი უზრუნველყოფს თანმხლები დოკუმენტაციის, კერძოდ სასაქონლო ზედნადების ან/და ანგარიშ–ფაქტურის წარდგენას.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მისი ფაქტობრივი მიწოდების და სასაქონლო ზედნადების ან/და ანგარიშ–ფაქტურის ელექტრონულ პორტალზე ატვირთვის შემდეგ.

4.2 შესყიდვის ობიექტი მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი".

4.3 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2023 წლის 20 ივლისის ჩათვლით.**

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 მუხლის გათვალისწინებით.

5.2. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს:
- განახორციელოს ინსპექტირება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;
- მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების დროულად და კეთილსინდისიერად შესრულება.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:
- მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

5.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ხელისშემშლელ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ.

7. სხვა პირობები

7.1 სადავო საკითხის არსებობისას შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადენილი წესით;
7.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, რომელიც მხარეების მიერ დადასტურებულია ელექტრონული ხელმოწერით ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

8. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები,

“შემსყიდველი”
სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის
მუსიკალური კომედიისა და დრამის
პროფესიული სახელმწიფო თეატრი
ს/კ - 201948928
ტელ: 593125212. 597212212
მის: დავით აღმაშენებლის გამზირი 127

“მიმწოდებელი"
შპს „ამორე“
ს/კ – 406030334
მის: თბილისი,
დავით აღმაშენებლის 122
TBCBGE22
GE18TB7099336020100014

სამხატვრო ხელმძღვანელი
დავით დოიაშვილი

TBILISI VASO ABASHIDZE MUSICAL COMEDY AND DRAMA PROFESSIONAL STATE THEATRE
Digitally signed by TBILISI VASO ABASHIDZE MUSICAL COMEDY AND DRAMA PROFESSIONAL STATE THEATRE
Date: 2023.06.12 15:52:09 +04'00'

Erdal Saglam
Digitally signed by Erdal Saglam
Date: 2023.06.12 15:26:20 +04'00'